№ 151 მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მეორე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 1 მან.

პარასკევი, 11 ივლისი 1919 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
„საქართველოს რესპუბლიკა"
მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. ხელის მოწერის ფასი: ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალკე № ყველგან 1 მან. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10 ს. ნაშუადღ. 3 ს. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82.

ეროვნული

გულდამწვარი შვილები პავლე, გრიგოლ და ლავრენტი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ თავის საყვარელ მამის

ტარასი მაჭავარიანის

გარდაცვალებას, დაკრძალვა კვირას, 13 ივლისს (ძველი სტ. 30 ივნისს) ს. საქარიქედში

ირაკლი სიმონის ძე და შვილები, პლატონ და აკაკი ლეჟავეები, გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფასი სიძისა და ბიძის

ტარასი ფილიპეს-ძე მაჭავარიანის

გარდაცვალებას. გამოასვენებენ რკინის გზის საავადმყოფოს ეკლესიიდან სადგურზე დღეს საღამოს 6-ნახევარ საათზე და წაასვენებენ დ. **ხარაგოულში.** დასაფლავება კვირას, 13 ივლისს სოფ. **საქარიქედში.**

ოფიციალური განყოფილება.

განკარგულებანი

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსი.

30 ივნისი, 1919 წ.

№ 108.

განთავისუფლებულია თანამდებობიდან თანახმად თხოვნისა, სახელმწიფო ბანკის კომისარი რ. გ. დუმბაძე ამა წლის 1 ივნისიდან.

№ 109.

დათხოვნილია სამსახურიდან, თანახმად თხოვნისა, სამინისტროს ექსპედიტორის თანაშემწე გიორგი ჩხაიძე ამა წლის 30 ივნისიდან.

№ 110.

დანიშნულ იქნეს ფინანსთა და ვაჭრობა - მრეწველობის სამინისტროს საერთო განყოფილების კანცელარიიეს რეგისტრატორად ქეთევან დავითის ასული კერესელიძე ამა წლის 1 ივლისიდან.

ფინანსთა დეპარტამენტის დირექტორის მაგიერ **ი. კანდელაკი.**

საერთო განყოფილ. უფროსის მაგ.

ი. პოლუმორდვინოვი.

საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის სამმართველოსი.

25 ივნისი, 1919 წ.

№ 33.

გამწესებულნი არიან: მოქალაქენი ირინე ჟორდანიასი, ნინა დგებუაძისა და ყოფილი ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე დროებით დაქირავებული მე-5 ხარ. თამარა ვაჩინაძისა ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებათ მე-6 ხარ. დროებით დაქირავებით ტფილისის ტელეფონის ქსელზედ 24 ივნისიდან 1919 წ.

დანიშნულნი არიან: ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები მე-2 ხარ. ტფილისის ფოსტის კანტორის კონსტანტინე ქუთათელაძე, პირველი ხარისხის მოხელეთ იმავე კანტორაში. ქუთაისის ფოსტა - ტელეგრაფის კანტორის მე-2 ხარ. ვასილ დიდიმანიშვილი პირველ ხარისხის მოხელეთ იმავე კანტორაში. დროებით ალმასრულებელი უმცროსს მექანიკოსის ვალდებულობისა დაბალი ჯამაგირის ტფილისის ტელეგრაფის კანტორის სტეფანე ყალამქაროვი ზედამხედველათ მაღალი ჯამაგირით იმავე კანტორაში. დიდიმანიშვილი 11 ივნისიდან, ქუთათელაძე და ყალამქაროვი 1 ივლისიდან 1919 წ., მხოლოდ ყალამქაროვი განთავისუფლებულია მექანიკოსის ვალდებულობის შესრულებისაგან.

გადაყვანილნი არიან: ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ქუთაისის მე-4 ხარ. მაკარი შალამბერიძე, **სოხუმის მე-4 ხარ.** გრიგოლ ბარკალაია, ფოთის მე-6 ხარ. მოხელის თანამდებობის ალმასრულებელი კონსტანტინე ადამია, ზედამხედველი ზუგდიდის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის დაბალი ჯამაგირის ლევან ჯოჯუა, შალამბერიძე სოხუმში, ბარკალაია ქუთაისში, ჯოჯუა გაგრაში, ადამია ტფილისის ტელეგრაფის კანტორაში; შალამბერიძე, ბარკალაია და ჯოჯუა 21 ივნისიდან, ადამია 25 ივნისიდან მხოლოდ ადამია, ბარკალაია და შალამბერიძე თანახმად თხოვნისა.

ოლქის უფროსი **მგელაძე.**

არა ოფიციალური განყოფილება

მთავრობაში

3 ივლისის სხდომა.

სხდომას დაესწრენ მთავრობის თავმჯდომარეს მოადგილე ბ-ნი ევგ. გეგეჭკორი.

მინისტრები: ბ. ბ. კანდელაკი, ხომერიკი. სახელმწიფო კონტროლიორი ბ. გოგიჩაიშვილი. მინისტრთა ამხანაგები: ბ. ბ. ცინცაძე, გელეიშვილი, გედევანიშვილი, ერაძე, ჭიჭინაძე. დეპარტამენტის დირექტორი ბ. აფხაზი, სასურსათო საბჭოს თავმჯდომარე ბ. ცაბაძე. საქმეთა მმართველი კ. ჯაფარიძე. მდივნობს დ. ლომთაძე.

მოხსენებანი ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.

გადასახადი შავ ქვაზე.

შავ ქვაზე საფუთო გადასახადი გადიდდეს 5 კაპეიკამდე. სათანადო დეკრეტი წარედგინოს დამფუძნებელ კრებას.

დ ე კ რ ე ტ ი.

დეკრეტი ზედ-მეტ მოგებაზე გადასახადის გაწერის 1919 წ. 13 მაისის დებულების მოქმედების 1920 წლის 1 იანვრამდე განგრძნობისა, მოწონებულ იქნეს და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას,

მოხსენება მიწ. მოქმ. მინისტრისა.

მამულის შესაკეთებლათ.

გადაიდოს 10 მილიონიან ფონდიდან 50000 მანეთი აბასთუმანის ეროვნულ მამულის შესაკეთებლად.

მოხსენება შინაგან საქმეთა მინისტრისა.

ფერმის გადატანა.

მოხსენება ქუთაისის საქონლის ჭირის საწინაალმდეგო შრატის დამზადებელ სადგურის ციხის ჯვრის ფერმაში გადატანის შესახებ გადაეცეს დასკვნისათვის მიწათ - მოქმედების მინისტრს.

მოხსენებანი განათლების მინისტრისა.

სამეცნიერო მოგზაურობისათვის.

გადაიდოს ათ მილიონიან ფონდიდან 1810 მანეთი კ. დოდაშვილის სამეგრელოსა და სამურზაყანოში სამეცნიერო მიზნით მოგზაურობისათვის.

დახმარება.

მოხსენება საქართველოს საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის 120,160 მან. გაღების შესახებ, მოწებულ იქნეს და სათანადო დეკრეტი წარედგინოს დამფუძნებელ კრებას.

მოხსესებანი სამხედრო მინისტრ. ამხანაგისა.

ანაზღაურება.

გადაიდოს 15 ათასი მანეთი ხალიჩებისათვის რეკვიზიციით ჩამორთმეულ სამი ცხენის ფასის ასანაზღაურებლათ.

ზარალის ასანაზღაურებლათ.

გადაიდოს სამხედრო ფონდიდან 4405 მ. ნატანების რაიონულ კოოპერატიულ კავშირის „შეერთებისთვის" შეშის ფასის ასანაზღაურებლათ.

მოხსენება გზათა მინისტრისა.

ნავთსადგურის ხარჯებისათვის.

გაეხსნას გზათა უწყებას ნავთსადგურებისათვის საჭირო $^1/_{12}$ ნაწილი 1919—20 წლ. ბიუჯეტით ნავარაუდევი თანხისა, ნებადართულ იქნას აგრეთვე ხარჯთ-აღრიცხვის პარაგრაფების ასეთი გადაჯგუფება, როგორც ესაა აღნიშნული მოხსენებაში.

5 ივლისის სხდომა.

სხდომას დაესწრენ მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნი ნ. ჟორდანია. მინისტრები ბბ. რამიშვილი, ხომერიკი, გეგეჭკორი. სახელმწიფო კონტროლიორი ბ. გოგიჩაიშვილი. მინისტრთა ამხანაგები: ბბ. გელეიშვილი, გედევანიშვილი, ჭიჭინაძე, ერაძე, ცინცაძე. დეპარტამენტის დირექტორები: ბბ. აბხაზი, ჭიჭინაძე. საქმეთა მმართველი ბ. ჯაფარიძე. მდივნობს დ. ლომთათიძე.

მოხსენებანი მთავრობის თავმჯდომარისა.

დაწესებულებათა დატოვება.

გადაეცეს შინაგან საქმეთა მინისტრს დასკვნისითვის შულავერის კომისარის შუამდგომლობა სახელმწიფო დაწესებულებათა ქ. შულავერში დატოვების შესახებ.

თარჯიმანები.

თანახმათ საქართველოში არსებულ მუსულმანთა ეროვნულ საბჭოს შუამდგომლობისა დაევალოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იყოლიოს თათრული და სომხური ენების მუდმივი თარჯიმნები.

პანთეონის გასაფართოებლათ.

დიდუბის ეკლესიის საბჭოს და წერა-კითხვის საზოგადოების შუამდგომლობა ხაზინის ხარჯზე პანთეონის გასაფართოებლათ მომიჯნავე მიწის შეძენის შესახებ უარყოფილ იქნას, ხოლო მთავრობა არაა წინააღმდეგი, თუ ამ მამულებს შეიძენს პანთეონის გასაფართოებლათ დიდუბის ეკლესიის სამრევლო საბჭო და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება თავის საშუალებით.

აბრეშუმის პარკის შეძენა.

მთავრობის დადგენილება აბრეშუმის პარკის მთავრობისგანვე შეძენის შესახებ შეეხება მხოლოთ ძველი მოსავლის პარკს, ახალი მოსავლის პარკის შეძენა არ არის აღკრძალული და ყველას შეუძლია მისი შესყიდვა.

უარი თხოვნაზე.

ავდეევის შუამდგომლობა საგანგებო კომისიის დანიშვნის შესახებ მის პირადობის გამოსარკვევათ უარყოფილ იქნას.

მოხსენება იუსტიციის მინისტრისა.

უარი პატიებაზე.

პავლე პლატონის ძე ჭავჭანიძის შუამდგომლობა სიკვდილით დასჯის პატიების შესახებ უყურადღებოთ იქნეს დატოვებული.

მოხსენება იუსტიციის მინისტრისა

კანონ-პროექტი.

მოხსენება ბ. მინისტრისა, ანგარიშების განმარტებითი ბარათის და სარევიზიო მოხსენების საკანონმდებლო დაწესებულებაში წარდგენის ვადების შეცვლისა და ცალკე სამინისტროების მიერ საკასო ანგარიშების და განმარტებითი ბარათების ფინანსთა სამინისტროში გაგზავნის ვადების დანიშვნის შესახებ, მიღებულ იქნას, სათანადო კონონ-პროექტი შემუშავდეს სახელმწიფო კონტროლთან შეთანხმებით და წარედგინოს დამფუძნებელ კრებას.

მოხსენება სახელმწიფო კონტროლისა.

სახარჯთაღრიცხვო კრედიტები.

განმარტებულ იქნას, რომ ამა წლის ივნისის პირველისათვის დარჩენილ ნაშთებით 1919 წლის სახარჯთაღრიცხვო კრედიტებისა, რომლითაც დახურულ იქნა მაისის 31-ს, შეიძლება ხარჯი გაწეულ იქნეს იმ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ, რომელნიც წარმოსდგენ ხსენებულ სახარჯაღრიცხვო წელში ივნისის პირველამდი და თავის დროზე რაიმე მიზეზების-გამო ვერ იქნენ დაკმაყოფილებული.

მოხსენებანი გზათა მინისტრისა.

კოჯორის გზის შეკეთება.

1. შესდგეს საუწყებათაშორისო კომისია შინაგან საქმეთა (თავმჯდ.), მიწათ-მოქმედების, ფინანსთა და იუსტიციის სამინისტროების წარმომადგენელთაგან, რომელმაც ერობათა ცენტრალურ ბიუროსთან ერთად, შეიმუშაოს დებულება მთავრობის და ერობის ურთი-ერთ დამოკიდებულების შესახებ.

2. კოჯრის გზის შეკეთება დაევალოს გზათა უწყებას, რომელმაც ახლო მომავალში უნდა წარმოადგინოს გზის შესაკეთებელ სამუშაოს ხარჯთაღრიცხვა.

გზა შეკეთებულ უნდა იქნეს ერობის ხარჯზე.

ფოთის ნავთსადგურის ამოსაწმენდათ.

ფოთის ნავთსადგურის ამოსაწმენდათ საჭირო მოწყობილობის ტუაპსეს ნავთსადგურიდან დროებით ფოთში გადმოტანის შესახებ მიეცეს ინგლისურ ბანკის ბათომის განყოფილების დირექტორს და ტუაპსეს ნავთსადგურის ადმინისტრაციას შემდეგი გარანტია:

1. მოწყობილება უკვე დაუბრუნდება ტუაპსეს ნავთსადგურს მუშაობის გათავებისთანავე იმავე მდგომარეობაში, რომელშიაც წარმოებულ იქნება 2. ხმარებისათვის საქართველოს მთავრობა გადაიხდის საიჯარო ფასს, თომელიც შემუშავებული იქნება საქართველოს გზათა უწყების ტუაპსეს ნავთსადგურის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით.

შრომის სამინისტროში.

შრომის მინისტრის გამგზავრება ქალაქ ფოთში.

შრომის მინისტრი ბ. ნ. ხომერიკი და მისი ამხანაგი გ. ერაძე ოთხშაბათს, 9 ივლისს, საღამოს მატარებლით გაემგზავრენ ქ. ფოთში პორტის მუშების კონფლიქტის მოსაგვარებლად.

პ ე ნ ს ი ა

შრომის სამინისტროსთან არსებულ მუშათა დამზღვევ განყოფილებამ ოთხშაბათს, საღამოს 7 საათზე თავის ჩვეულებრივ სხდომაზე განიხილა ავტომობილის მიერ გატანილ და

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სასიკვდილოთ დასახიჩრებულ მუშა ტრეკოვის ქვრივის თხოვნა პენსიის დანიშვნის შესახებ. კომისიამ სცნო: ვინაიდან ტრეკოვი გარდაიცვალა, კანონისამებრ დაენიშნოს მას ერთი მესამედი თვიურ ჯამაგირისაო. ქალიშვილს— მისას კი ერთი მეექვსედი.

საქართველოს საკითხი ევროპაში.

ამ დღეებში ლონდონიდან ჩამოსულმა საქართველოს დელეგაციის წევრმა დავით ლამბაშიძემ, 9 ივლისს დამფუძნებელ კრების სოც. დემ. ფრაქციაში გააკეთა მოხსენება შემდეგ თემაზე: „საქართველოს საკითხი ევროპაში და კერძოთ საზავო კონფერენციაზე". მოხსენების დასაწყისში მან აღნიშნა, რომ არც ერთი ევროპის სახელმწიფო ჩვენ საფრთხეს არ გვიმზადებს, ჩვენთვის საშიში არიან მხოლოდ კოლჩაკ-დენიკინელები. ყველაზე ყურადღებით და სიმპატიით საქართველოს ინგლისი ეპყრობა. იგი თავიდანვე შეგვპირდა, რომ დავიცავთ საქართველოს დამოუკიდებლობასო და ამგვარივე დეპეშა გამოიგზავნა კიდეც ინგლისის მთავრობის სახელით საქართველოში. ამიერ-კავკასიაში შემოსვლამდე ინგლისი ძლიერ დაინტერესებული იყო ჩვენი ქვეყნით, როდესაც მოკავშირეთა დადგენილებით ინგლისის ჯარები ჩვენი ქვეყნისაკენ გამოემგზავრენ მათ ათასგვარი პროვოკაციული ცნობები მიაწოდეს, ჩააგონეს, რომ საქართველო გერმანიის ორიენტაციისაა, ქართველობა უბრძოლველად არ შეუშვებს ინგლისის ჯარს თავის ტერიტორიაზე და სხვა. ასეთ წინასწარ აზრით შემოსულ ინგლისელებმა ისეთი შთაბეჭდილება მიიღეს, რომ ქართველი ხალხი მეტად გულუბრყვილოა, პოლიტიკის არაფერი გაეგებათ და ვისაც შეიყვარებენ თანაც გადაყვებიანო, ამიტომ არის რომ გერმანია შეიყვარეს და სურთ მისი დამარცხებაც გაიზიარონო. შემდეგ მომხსენებელი ეხება რა საზავო კონფერენციის მუშაობას აღნიშნავს, რომ ყველა დელეგაციასთან არსებობს სხვა და სხვა კომისიები და სექციები. საქართველოს საკითხი გამოყოფილია რუსეთის საკითხიდან. მაგ. ინგლისის დელეგაციას იგი დასმული აქვს როგორც საკითხი ახლობელ აღმოსავლეთის, იტალიას როგორც რუსეთის. მაგრამ ამ ბოლო დროს მანაც შესცვალა აზრი და ინგლისს მიჰბაძა. იაპონიას ჩვენი საკითხი დასახელებული აქვს, როგორც დასავლეთ აზიისა. საფრანგეთს საქართველოს საკითხი რუსეთის კითხვიდან არ აქვს გამოყოფილიო. რაც შეეხება სხვა პატარა ერებს მათთან ჩვენი საკითხი არ არის დაკავშირებული და არც კომისიები აქვთ, გარდა პოლონეთისა, რომელთაც ეკონომიური მოსაზრებით დაარსეს პატარა სექცია საქართველოს შესახებ. ჩვენი საკითხები ისმება კომისიებში, მას სწავლობენ, მაგალითად ინგლისის დელეგაციამ საქართველოს შესახებ ყოვლისფერი დაწვრილებით იცის. დაწვრილებით იცნობს ამიერ-კავკასიის მდგომარეობას. ამერიკის დელეგაციაც, მაგალითად მათ აქვთ კომისიებში ამიერ-კავკასიის რუქა, სადაც ყოველივე სადავო ტერიტორიალური საკითხი სხვა და სხვა ფერით არის აღნიშნული და ზედ აწერია სადავოა. მომხსენებელი ეხება რა რუსეთის მდგომარეობას, აღნიშნავს, რომ იქ ეხლა ორი უკიდურესობა არის: ბალშევიზმი და დენიკინი. მოკავშირეები ორივე მხარეს კარგად იცნობენ: იციან ისიც, რომ თუ რუსეთში გაიმარჯვა რეაქციამ, იგი კავშირს დაიჭერს გერმანიის რეაქციონურ წრეებთან და ეს კი საფრთხე იქნება ევროპისათვის. თუ ვინიცობაა გერმანიაში სპარტაკელებმა გაიმარჯვეს ისინი შეუერთდებიან ბოლშევიკებს და ესეც სურთ აიცდინონ მოკავშირეებმა ინგლისი ფიქრობდა ბალშევიკებთან მოლაპარაკების გამართვას, მაგრამ ასეთი ცდა უნაყოფო გამოდგა და გადაწყვიტეს მოკავშირეებმა ბალშევიზმის დამარცხება რუსეთში და სწორედ ამ მიზნით ეხმარებიან დენიკინს და კოლჩაკს. ამერიკა კი უკანასკნელ დრომდე ფიქრობდა ბალშევიკებთან კავშირის დაჭერას, ახლა კი იმანაც აზრი შეიცვალა და კოლჩაკს ეხმარება. მომხსენებელს ყალბათ მიაჩნია ის მოსაზრება, ვითომდა მოკავშირენი ფიქრობდენ ამიერ-კავკასია შეუერთონ დენიკინს. ლოიდ ჯორჯი იმ აზრს ადგია, რომ რუსეთიდან გამოყოფილნი ერნი, თუ თვით არ მოისურვებენ თავიანთ ნებით შეუერთდენ რუსეთს, ისინი ნებას არ მისცემენ ძალით შეაერთონ რუსეთს გამოყოფილი ერები.

მომხსენებელი შეეხო ინგლისის შინაურ მდგომარეობას და აღნიშნა, რომ იქ დიდი ჩუმი სოციალური რეფორმები გატარდა, დაკანონდა 8 საათის სამუშაო დღე, მუშათა კლასის მდგომარეობა გაუმჯობესდა, იგი უზრუნველ ყოფილია და ბალშევიზმს იქ არავითარი ნიადაგი არ აქვს და არც არის მოსალოდნელი, რომ ევროპა საგრძნობლათ შეირყესო. რუსეთის და გერმანიის ამბები იქ მოსალოდნელი არ არის, რაც შეეხება საფრანგეთს იქ დიდი შოვინისტური მოძრაობა არის. გერმანელებისადმი მტრული განწყობილება არის; პირველ მაისის დემონსტრაციის დროს ჯარს პატრონები არ ჰქონია, თორემ მრავალს დახოცავდენ, რადგანაც ჯარი დემონსტრაციის მომწყობთ გერმანელების აგენტებათ სთვლიდენ, ბევრ მუშას კონდახებითა სცემეს. მომხსენებელს მრავალ შეკითხვას აძლევენ, რომელზედაც მან დაწვრილებითი პასუხი გასცა. მან თავის საპასუხო სიტყვაში სხვათა შორის მოკლეთ აღნიშნა ის თუ რას აკეთებს ჩვენი დელეგაცია. მოიხსენია, რომ ვცემთ ფრანგულ ენაზე კვირაში ორჯერ ბიულეტენებს, რომლებსაც ვუგზავნით ყველა გაზეთებს, მაგრამ თუ ყველა არ ბეჭდავს ჩვენს შესახებ, ეს მით აიხსნება, რომ საფრანგეთში აუარებელი უცხო კორესპონდენტები არიან და ტეხნიკურათ შეუძლებელი არის ყოველი ქვეყნის ამბის სისტემატიურათ ბეჭდვა. დელეგაციას უხდება კომისიებში მუშაობა, ჟურნალისტებთან საუბარი და სხვა. მომხსენებლის აზრით ჩვენი დელეგაცია, რომ დაესწრო სოციალისტურ კონფერენციას ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საზოგადოთ, ევროპაში მასსა არ იცნობს არამც თუ საქართველოს, არამედ მათ ხშირათ ასეთი წარმოდგენა აქვთ, რომ ვენის იქით აზია არის და შავ კანიანი ხალხი ცხოვრობსო. ბერნის კონფერენციის დადგენილება ჯერ ერთი, რომ გავლენას იქონიებს ევროპის პოლიტიკურ სფეროებში, აგრეთვე ამით მუშათა კლასი გაეცნობა საქართველოს, და ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს. მომხსენებლის დასკვნა ისეთია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარებული იქნება საზავო კონფერენციაზე. იგი დაახლოვებით ორ-სამ თვეში გადაწყდება, მხოლოთ რა ფორმას მიიღებს ეს დამოუკიდებლობა, იქნება კონტროლ ქვეშ თუ არა ამის გათვალისწინება ძნელია.

დამფუძნებელი კრება.

8 ივლისი.

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

მდივნობს გრიგოლ ნათაძე.

საბოლოო ტექსტები.

ანნა ხოლოლაშვილის ასული მოახსენებს კრებას.

1. საბოლოო ტექსტს კანონისას საზღვარგარეთ სწავლა-განათლების ან სპეციალი ცოდნის შესაძენად გასაგზავნ პირთათვის ორი მილიონი მან. გადადების შესახებ.

2. საბოლოო ტექსტს-1919 წ. მაისის 27-ს კანონის დამატებისას ხაზინის შემოსავლის გასაძლიერებლად ზოგიერთი ღონისძიების მიღებისათვის.

3. საბოლოო ტექსტს დეკრეტისას გადამდებ სენთა საბრძოლველად შინაგან საქმეთა სამინისტროს სანიტარული ნაწილისათვის ერთდროულად 200,000 მან. გაღების შესახებ.

4. საბოლოო ტექსტს - დეკრეტისას ადერბეიჯანის მთავრობისაგან გადმოცემულ სამოცი მილიონი მანეთის ამიერ-კავკასიის ბონის პასუხისმგებლობის შესახებ.

5. საბოლო ტექსტს-დეკრეტისას ქ. ფოთში მდინარე რიონზე ხიდის გასაკეთებლათ 1½ მ. გადადების შესახებ.

დეკრეტი საქრთველოს რესპუბლიკის ბონების გამოცემისა.

დ. ონიაშვილი. მოახსენებს კრებას დეკრეტის შინაარს. იგი აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ იანვარში საქართველოს პარლამენტმა მიანიჭა მთავრობას უფლება გამოეცა ქართული ბონები, მაგრამ დღემდი მთავრობას ეს უფლება არ გამოუყენებია. ეხლა რადგანც ფაქტიურად აღარ არსებობს ამიერ-კავკასიის სახელმწიფოთა შორის ის კავშირი, რომელიც არსებობდა აქნამდის, რადგან ადერბეიჯანს აღარ სურს, რომ პასუხი აგოს ამიერ კავკასიის სახელით გამოცემულ ბონებზე, საქართველოს მთავრობამ განიზრახა და დამფუძნებელ კრებასგან ითხოვს 300 მილ. ემისიას საქართველოს რესპუბლიკის ბონების გამოსაცემად. ბონები გამოიცემა 1 მან. 3 მ. 5 მ. 10 მ. 50 მ. 100 მ. 250 მან. საქართველოს ბონები უზრუნველ ყოფილი იქნება მთელ საქართველოს ქონებით.

ლ. შენგელია. (ს. რ.) ფრაქციის სახელით წინააღმდეგია ბონების გამოცემისა. ორატორის აზრით საჭიროა ბურჟუაზიის დაბეგვრა და ამ საშუალებით უამრავ ფულის ნიშნების ხაზინაში დაგროვება.

თ. ღლონტი. (ს. ფ.) ფრაქციის სახელით მოითხოვს ქართულ ბონის მაგიერ ქართულ ფულის გამოცემას.

ფინანსთა მინისტრი **კანდელაკი** იძლევა განმარტებას საქართველოს ბონების გამოცემის შესახებ. აღნიშნავს, რომ იმ პირობებში, რომელშიაც დღეს იმყოფება საქართველოს რესპუბლიკა, აუცილებელია საკუთარ ბონების გამოცემა.

დიომ. თოფურიძე. (ს. დ.) ფრაქციის სახელით მხარს უჭერს 300 მილ. ბონების გამოცემის დეკრეტს.

მეორე (მუხლობრივი) განხილვა კანონპროექტისა—უძრავი ქონებისა იძულებითი ჩამორთმევის, დროებით დაჭერის და მისით სარგებლობაში მონაწილეობის დაწესების შესახებ-სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის. მომხსენებელია სერ. ჯაფარიძე.

დამფუძნებელი კრება მუხლობრივ იხილავს კანონ-პროექტს. რამდენიმე შესწორება ერ.-დემოკრატებისა უარყოფილია. კანონში ს.-დ. ფრაქცის მიერ შეტანილია მცირეოდენი შესწორება.

დამფუძნებელი კრების წევრის **ალ. ახათიანის**—წინადადება—სახალხო მეურნეობის მუდმივი კომისიის დაარსების შესახებ, და

დამატება.

დეკრეტი—1917 წლის მარტის 20-ს კანონის მოქმედების განგრძობისა, გადადებულ იქნა შემდეგ სხდომისთვის.

საადგილ - მამულო რეფორმა

ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობა.

ატყობინებს მიწათ-მოქმედების სამინისტროს, რომ.

1. სარაიონო კომისიებმა დაიწყეს მუშაობა: ა) ქუთაისის რაიონში 6 ივნისს, ბ) ხონის რაიონში 5 ივნისს, გ) კულაშის რაიონში 29 მაისს, დ) მუხაყრუის რაიონში 27 მაისს, ე) საჩინოს რაიონში 26 მაისს, ვ) ჯიხაიშის რაიონში 21 მაისს, ზ) ბაღდათის რაიონში 4 ივნისს, თ) სვირის რაიონში 10 ივნისს, ი) ოკრიბის რაიონში 2 ივნისს, კ) კოპიტნარის რაიონში 3 ივნისს, ლ) რიონის რაიონში 1 ივნისს, მ) წყალტუბოს რაიონში 31 მაისს.

მუშაობა სწარმოებს აჩქარებული ტემპით, მაგრამ სიახლის და სიძნელის გამო ძნელი იყო საქმის დაყენება. დღემდი სარაიონო კომისიებმა შესძლეს შემდეგის გაკეთება:

2. ყველა რაიონებმა შეკრიბეს ცნობები თუ რამდენია უმიწო და მცირე მიწიანი გლეხები.

3. ფართოდ გაიცვნეს მთელი რაიონის აგრარული რეფორმა და მისი გატარების საშუალებანი. ა) შეუდგენ დარჩენილ მიწების ჩამორთმევას; ჯერ-ჯერობით წარმოდგენილია 50 მიღების აქტი.

4. ხუთმა რაიონმა: სვირის, კოპიტნარის, ჯიხაიშის, ქუთაისის და წყალტუბოს წარმოადგინეს წერილობითი მოხსენება, თუ რამდენი მიწაა მათ რაიონებში; გამგეობამ გაანაწილა რაიონებთა შუა მიწა და შეაფასა. შეფასება ამ დღეებში წარედგინება მიწადმოქმედების მინისტრს დასამტკიცებლად.

5. ამ ჟამათ ყველა რაიონებში საქმე ისეა დაყენებული, რომ როგორც კი მოვა მიწების შეფასების ქაღალდი, მაშინვე დაიწყება ყიდვა. მცხოვრებნი მოუთმენლად მოელიან ამ დროს. განყოფილება დარწმუნებულია, რომ თუ სხვა გარეშე მიზეზებმა არ შეგვიშალა ხელი, სექტემბრამდე უმთავრესი ნაწილი რეფორმისა დამთავრებული იქნება.

6. ამ საერთო მუშაობიდან გამონაკლისს შეადგენს ორი რაიონი: ოკრიბის და რიონის; იქ საქმე მეტად გამწვავებულია.

გამგეობამ ადგილობრივ გამოარკვია საქმის მდგომარეობა და დარწმუნდა, რომ სამართლიანი იყო მცხოვრებლებს მოთხოვნილება.

თუმცა ოკრიბაში ნორმა უდრის 15 დეს., მაგრამ მცხოვრებთ სულ არ აქვთ სახნავი მიწა და ამიტომ ნორმაში არაფერი რჩებათ თუ სამინისტრომ არ მისცა ნება ნორმაში ტყის დატოვების შესახებ.

ამის შესახებ ერობამ უკვე აღძრა შუამდგომლობა დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის, სოც.-დემ. ფრაქციის თავმჯდომარის და მიწად მოქმედების მინისტრის წინაშე, რაზედაც ჯერ პასუხი არ მიგვიღია.

საფონდო მიწების შეფასება.

ქუთაისის სამაზრო ერობის ცნობით, სარაიონო კომისიებს მიწები დაუნაწილებია ხუთ რაიონში. გამგეობა შუამდგომლობს სამინისტროს წინაშე, რომ დამტკიცებულ იქნეს წარმოდგენილი საშუალო ფასები საფონდო მიწებზე

№№	რაიონები	რამდენი ქც. მიეცა მცხოვრებს.	საშ. ფასი.		სულ	შენიშვნა.
			ქცევა.	დღს.		
1	სვირის . .	2234	900	2400	2010600	
2	კოპიტნარის.	4712	747	2000	3534000	
3	ქუთაისის .	4169	747	2000	3126750	
4	წყალტუბოს.	2948	299 50	800	334000	
5	ჯიხაიშის .	1450	828	2200	1200600	
	ს უ ლ.	15513	704 34	1880	10755950	

საერთაშორისო პროფ. ყრილობაზე.

ამსტერდამში მოხდება პროფესიონალური საერთაშორისო ყრილობა. საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურმა საბჭომ თავის სხდომაზე გადასწყვიტა თავის წარმომადგენლათ ამ ყრილობაზე დაესწროს ბ-ნი ირაკლი (კაკი) წერეთელი. მას უკვე გაეგზავნა ამის შესახებ მანდატი.

მუნიციპალური ცხოვრება

ლანჩხუთის თვითმართველობის შუამდგომლობა მთავრობის წინაშე.

როგორც მთავრობასაც მოეხსენება, მდინარე რიონის მარცხენა და მარჯვენა ნაპირები ქ. სამტრედიიდან დაწყებული ვიდრე შავ ზღვამდე ითვლება სივრცით უდიდეს და უნაყოფიერეს სახნავ-სათეს ადგილებათ დასავლეთ საქართველოში. რიონის მარცხენა ნაპირზე მდებარე სახნავ-სათეს ადგილებს ამუშავებენ არა მარტო ეგრედ წოდებული დაბლობი სანაპირო გურიის (რკინის გზის გასწვრივ მდებარე სოფლების) მცხოვრებნი, არამედ გურიის ყველა კუთხის, მაგ. ხიდისთავის, საჯევახოს, ლიხაურის და სხვების. ძლიერ ხშირად სარგებლობენ ამ მიწებით აგრეთვე მეგრელები და იმერეთის სხვა და სხვა კუთხის მცხოვრებნიც. რიონის მარცხენა ნაპირს კი ამუშავებენ მეგრელები. ამ ადგილების მოსავალი იმდენათ დიდია, რომ იმით იკვებება გურიის და სამეგრელოს მცხოვრებნი და გარდა ამისა გააქვთ გასასყიდათ საქართველოს და კავკასიის სხვა და სხვა ადგილებში. წინა წლებში ბლომათ გაჰქონდათ აქედან სიმინდი საზღვარ გარეთაც, რის გამოც ამ ადგილებს ყოველ წლობით აწყდებოდა ხომლე უცხო მყიდველები სიმინდისა.

სამწუხაროთ, ამ ადგილებს სჭირთ დიდი უბედურება, რაც ხელს უშლის და ხშირად სრულიადაც სპობს მის ნაყოფიერებას. ეს უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ მდინარე რიონი გაზაფხულობით და ზაფხულობით როდესაც ყანები დათესილია, წყალ დი-

დობის და ქარის დროს გადმოდის ნაპირებიდან, ლეკავს და სრულიად ანადგურებს ნათესებს, და ამ ნაირათ ხელ ცარიელს სტოვებს მხვნელ-მთესველებს, ამას ყოველთვის შედეგათ მოყვება ხოლმე დამშიება მთელი დასავლეთ საქართველოისა და სურსათის დაკლება სახელმწიფოს სხვა ადგილებშიც. ასეთი წლები იყო მაგ. 1913, 14 და გასული წელში.

ამ უბედურების სიმწვავე მით უფრო საგრძნობელია და საშინელი, რომ ის ხშირად ხდება, ვინაიდან მისი გამომწვევი მიზეზი არ არის მარტო წყალ დიდობა. საკმარისია ქარი მოვიდეს, რომ მდინარემ წალეკოს თავის ნაპირები, როგორც არა ერთხელ მოხდა წელს.

ერთად ერთი საშუალება ამ სამწუხარო მოვლენის ასაცილებლად არის მდინარის გამაგრება დამბებით. მართალია ასეთი საქმე შეადგენს ერობის საზრუნავ საგანს, მაგრამ ჩვენი ნორჩი, მოუწყობელი და ღარიბი ერობა ჯერ ჯერობით ვერ იკისრებს ამ დიდ საქმის გაძღოლას სავსებით, მით უმეტეს, რომ საქმის გახანგრძლივება დიდ ზარალს მოიტანს, ამიტომ იმის გადიდება მომავლისთვის შეუძლებელია.

ზემოთქმულ მიზეზების და იმის გამო, რომ ამ ადგილებს დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ადგილობრივ მცხოვრებთათვის, არამედ მთელი სახელმწიფოსთვის,—საჭიროა მთავრობა ჩაერიოს იმის მოწესრიგებაში.

ქ. ლანჩხუთის საბჭომ თავის 27 ივნისის სხდომაზე დაადგინა: ზემო თქმული გარემოება მიიყვანოს რესპუბლიკის მთავრობის ცნობამდე, და იშუამდგომლოს მის წინაშე, რათა მთავრობამ რაც შეიძლება დაუხანებლივ მიიღოს სათანადო ზომები ამ საქმის განსახორციელებლად, ხოლო ქ. ლანჩხუთში კი თავის მხრით ყოველი საშუალებით ეცდება ხელი შეუწყოს ამ ფრიად საჭირო საქმის სისრულეში მოყვანას.

დასასრულ მოვახსენებთ მთავრობას, რომ ყოველივე მუშაობაში (არა სპეციალურში) მონაწილეობას მიიღებს თვით ხალხი, მხოლოდ მთავრობამ დახმარება უნდა გაგვიწიოს სპეციალისტების გამოგზავნით და საჭირო მასალების მოწოდებით.

ტფილისის ქალაქის გამგეობის დადგენილებანი.

1 ივლისის სხდომაზე ტფილისის ქალაქის გამგეობამ მოისმინა გ. კონიაშვილის მოხსენება ტფილისის ჯარის-კაცთა უნივერსიტეტის შესახებ, რომლის გამგეობაც ითხოვდა ბინას შუაგულ ქალაქში და მატერიალურ დახმარებას. გამგეობამ დაავალა საბინაო კომისიას ჯარის-კაცთა უნივერსიტეტისათვის შესაფერ ბინის მოძებნა, მატერიალურ დახმარებაზე კი უარი უთხრა.

— ქალაქის გამგეობამ დაადგინა მიეცეს დიდუბის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს 3.000 მან. სუბსიდიის სახით.

— გამგეობის წევრის გ. კონიაშვილის მოხსენების თანახმათ ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა მიეცეს პროფესიონალურ კავშირის მიერ დაარსებულ სანდრო მაისურაძის სახელობის სამკითხველოს დახმარება 1000 მანეთით.

-- რადგანაც ქალაქის გამგეობაში მრავალი თხოვნები მოდის სხვადასხვა საქველმოქმედო საზოგადოებისგან კლუბებში საქველ მოქმედო მიზნით ლოტოს თამაშის გამართვის შესახებ, გამგეობამ დაადგინა: ნება მიეცეს ლოტოს თამაშისა მხოლოდ კულტურულ-განმანათლებელ და საქველ მოქმედო საზოგადოებებს, მხოლოდ იმ პირობით, რომ 50% მოგებისა გასტუმრებულ იქნას სახელმწიფო ლატარიის ბილეთებით. ყოველ კლუბებს აქვთ უფლება მხოლოდ ორჯერ გამართოს ასეთი ლოტოს თამაში და ყოველთვის გამგეობის წევრის გ. მაჭავარიანის ნებართვით. საჭიროა ლატარიის კომიტეტს ეცნობოს ხოლმე, რომ ამა თუ იმ კლუბში რომელ დღეს არის ნებართვა მიცემული ლატარიის თამაშისა.

საქართველოს მთავრობა მესხეთ-ჯავახეთში.

საქართველოს დემოკრატიული მთავრობა უკვე შეუდგა საქმის მოგვარებას ჯავახეთ-მესხეთში. მას იმ დროს უხდება აქ მუშაობა, როდესაც ეს ქვეყანა განადგურებულია და მოღალატეების წყალობით დაღუპვის კარამდეა მისული.

ჩვენ ვიცით მიზეზი ამ უბედურებისა: ოსმალეთის აგენტებმა მოატყუეს მშრომელი ხალხის ნაწილი, ააჯანყეს რესპუბლიკის წინააღმდეგ, ცეცხლს და ნავთს მისცეს მათი ოჯახი და მთელი მესხეთის განადგურების შემდეგ—ჩუმათ ქურდულათ მიიმალნენ.

მათ კარგად იცოდენ, რომ მოტყუებული ხალხი ბოლოს მაინც გამოფხიზლდებოდა და არასოდეს არ აპატიებდა თავის მოტყუებას. ეს იყო მიზეზი მათი გაქცევისა. დემოკრატიული მთავრობა მათ ხელს არ ახლებდა, რომ ისინი ბოროტმოქმედნი და მოღალატენი არ ყოფილიყვნენ. მათი წყალობით დღეს დანგრეულია საქართველოს ძვირფასი კუთხე.

ასეთს დროს შემოდის მის აღსადგენათ ჩვენი მთავრობა; ის სამოთხეს არავის ჰპირდება. ის ჰპირდება მხოლოდ დემოკრატიულ რეფორმების გატარებას და მის პრინციპების მტკიცეთ დაცვას.

და ჩვენ ვიცით რა მოაქვს ხალხისათვის ამ რეფორმებს. ის აძლევს ხალხს პირველყოვლისა თავისუფლებას, **მიწას** და ყოველივე მას, რაც აქვს საქართველოს ხალხს. ამიერიდან ბეგებს ჩამოერთმევათ მიწა და მშრომელ ხალხს გადაეცემა.

აი ეს არის უმთავრესი ძალა, რომელსაც ჩვენი მთავრობა ხალხის საკეთილდღეოთ გამოიყენებს.

მაგრამ ყოველივე ეს მოხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მესხეთ-ჯავახეთში სათანადოთ დამყარდება სამოქალაქო წესები. ამ მხრივ მთავრობამ უკვე მიიღო სწრაფი ზომები, რომლის სისრულეში მოყვანა აქაურ ხალხზეა დამოკიდებული. რამდენათ ხალხი მომზადებულათ და ენერგიულათ შეუდგება საქმეს—იმდენათ მალე განხორციელდება დიდი სოციალური რეფორმები. მთავრობა არასოდეს არ დასტოვებს უყურადღებოთ არც ერთს მუშას, რადგან ეს მთავრობა თვით ხალხის მთავრობაა.

და მაშინაც კი, როდესაც საქართველოში შიმშილი არის—ის თავის უკანასკნელ ლუკმას გაპარტახებულ მესხეთ-ჯავახეთს უგზავნის.

აი სწორედ ამიტომ უჭერს მას მხარს ხალხი, რადგან სწამს, რომ რამდენათ ის წყევლა—კრულვით იხსენიებს ოსმალეთის აგენტებს—იმდენათ პატივით და ღირსებით ენდობა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას.

„გან. მესხ.“

ახალციხე

✦ აგარაკ აბასთუმანში მოაგარაკენი უკვე მოდიან, მზათ არის სამასი ოთახი მოაგარაკეთათვის. აბანოები აღდგენილია და ავადმყოფები სარგებლობენ. მიღებულია ზომები სურსათის შესაძენათ. ჯერჯერობით მთავრობამ ასი ფუთი სიმინდი გაგზავნა აბასთუმანში.

✦ ახალციხის მაზრის ზოგიერთ სოფლებში გავრცელებულია სახადი. საჭიროა დახმარება.

✦ დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნებისათვის მზადება მაზრაში უკვე დაიწყო. დაიგზავნა ყველა საზოგადოებებში საარჩევნო სიებისა და კომისიების შემდგენი ინსტრუქტორები.

✦ ქ. ახალციხის ძველ ნაწილში დაარსდა ახალგაზრდა ქალთა წრე, რომელიც მიზნათ ისახავს კულტურულ გონებრივ განვითარებას.

✦ ამ დღეებში ახალციხის მაზრის მიწის მუშათა დეპუტატების საბჭო მიიღებს რამდენიმე ვაგონ სიმინდს და ექვსას ცელს, რომელთაც შეღავათიან ფასებში გაუნაწილებს მცხოვრებლებს.

საქართველოს რესპუბლიკის ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირში.

საქართველოს რესპუბლიკის ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის საერთო კრებამ, რომელიც გაიმართა 22 ივნისს, სხვათა შორის იმსჯელა ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა შესახებ მიღებულ კანონზე და შემდეგი დადგენილებით მიმართა დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმს:

„საქართველოს რესპუბლიკის ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა საერთო კრებამ, რომელიც შესდგა ამა წლის 22 თიბათვეს, და რომელსაც დაესწრენ აგრეთვე საგანგებოთ მოწვეული თელავის მაზრის ომში დაჭრილ დასახიჩრებულთა კავშირის წარმომადგენლები, გაეცნო რა დამფუძნებელ კრების მიერ ომში დასახიჩრებულთათვის მიღებულ პენსიის კანონ-პროექტს და მიიღო რა მხედველობაში აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელიც გამოიწვია აღნიშნულ კანონ-პროექტის განხილვამ დაჭრილ-დასახიჩრებულთა შორის სცნო:

1. აღნიშნული კანონ-პროექტი კანონს გარეშე სტოვებს იმ ქართველ მეომრების უმრავლესობას, რომლებიც მათდა დამოუკიდებელ მიზეზების გამო შავი რეაქციის მოციქულთა ძალდატანებით, დასახიჩრდენ და დაჰკარგეს შრომის უნარი რევოლიუციამდე და მის შემდეგ რუსეთში რევოლიუციის პირველ წლის ხანში ე. ი. 1917 წლის განმავლობაში.

2. თუ ქართველი ერი თავის წარმომადგენლების პირით ხშირათ იმეორებს ევროპა ამერიკის წინაშე, რომ საქართველომ თვალსაჩინო მსხვერპლი მიიტანა მსოფლიო ომის დროს, თუ ქართველი ერის მესვეურნი საქართველოს მიერ გაღებულ მსხვერპლს ხშირად იყენებენ სხვა და სხვა იურიდიულ საბუთებათ ამა თუ იმ საკითხში სხვა და სხვა სახელმწიფოების წინაშე, მაშასადამე მსოფლიო ომის აქტიურ მონაწილეთ—1918 წლამდე ომში დასახიჩრებულთაც მიუძღვით ღვაწლი და ამაგი თავისუფალ საქართველოს წინაშე.

3. პირველ მუხლში აღნიშნულ დასახიჩრებულთათვის პენსიების არ მიცემა ნიშნავს იმას, რომ რამოდენიმე ათასი ქართველი უფეხო უხელონი და დაავადებულნი, იმის მაგივრათ რომ მათ შეაძლებინონ დროთა განმავლობაში უნარ დაკარგულობის აღდგენა და ხელ ახლა შრომის ფერხულში ჩაბმა, გახადონ მსხვერპლნი, უპატრონობისაგან გამოწვეულ სიმშილისა.

4. თავმოყვარე საქართველოს მესვეურებმა არ უნდა აიძულონ პირველ მუხლში მოხსენებული ომში დასახიჩრებულნი, მიმართონ თხოვნით დახმარებისათვის რუსეთს—იქნება ის წითელი თუ შავი რუსეთი.

5. სოციალისტური საქართველო არ შეიძლება რომ არ იქნეს დამცველი მაშვრალთა, ტვირთ მძიმეთა და უნარ დაკარგულთა ინტერესებისა.

ყოველ ამის გამო საერთო კრებამ დაადგინა:

1. ეთხოვოს სოციალ-დემოკრატიულ, სოციალ-ფედერალისტთა, სოციალ-რევოლიუციონურ ნაციონალ-დემოკრატ. პარტიებს და საქართველოს რევოლიუციონურ სინდიკალისტ მაშვრალთა კავშირის მთავარ კომიტეტებს აგრეთვე დამფუძნებელ კრების ყველა პარტიათა ფრაქციებს წინადადება მისცენ ვისაც ჯერ-არს, რომ კანონ-პროექტი მიღებული დამფუძნებელი კრების მიერ დასახიჩრებულთა პენსიის შესახებ, რომელიც ვრცელდება მხოლოდ 1918 წლის პირველ იანვრიდან ომში დნსახიჩრებულებზე, გავრცელებულ იქნეს აგრეთვე პირველ პუნქტში მოხსენებულ დასახიჩრებულებზედაც.

კრების თავმჯდომარე **ღრაგველიძე.**
მდივანი **აბაიშვილი.**

შრომის კომისარიატში.

სავალდებულო დადგენილება.

საგუბერნიო შრომის კომისარმა შემდეგი სავალდებულო დადგენილება გამოსცა: „ქალაქში ხოლერით ავათმყოფობა დაიწყო. რომ ამ სენის წინააღმდეგ ბრძოლა ნაყოფიერი იქნეს, წინადადებას ვაძლევ, ქ. ტფილისში და გუბერნიაში არსებულ ფაბრიკა-ქარხნების, სახელოსნოების, სავაჭრო დაწესებულებების გამგეებს, დაუყონებლივ იქონიონ საკმაოთ სასმელი გადადუღებული წყალი, გასუფთავებულ იქნას სამუშაო ადგილები და მუშათა საცხოვრებელი ბინები ყოველგვარი უსუფთაობისაგან. მოხდეს უსუფთაო ადგილების დეზინფექცია და ასრულებული იქნას უსიტყვოთ სასანიტარო ტეხნიკური ზედამხედველობის განკარგულებანი. შრომის სამინისტროს რწმუნებულთ, მუშებს და მათ ორგანიზაციებს მოვუწოდებ ენერგიულათ დაიცვან ხოლერის ყველა საწინალმდეგო ზომები და შეასრულონ ეს დადგენილება. ამ სავალდებულო დადგენილების დამრღვევნი მიცემულ იქნებიან ჩემ მიერ პასუხისგებაში.

შრომის საგ. კომისარი **ლ. ელბაქიანი.**

ფოსტა-ტელეგრაფი

ამა წლის 9 მკათათვიდან ყოველი ჯგუფური (партіонныя—ხუთამდე) ამანათი და ისეთები, რომელთ წონაც ოცს გირვანქას აღემატება, მიეცემათ მიმღებთ პირდაპირ რკინის გზის სადგურიდან.

დროებით, ვიდრე საჭირო შენობა იქნებოდეს აგებული, ამანათების მიცემის ოპერაციათა წარმოება მოხდება ფოსტის ვაგონში, რომელიც ჩამოყენებულია ბორჯომის სააგარაკო შუკაში (тупикъ).

მოქალაქენი, რომლებიც მიიღებენ ფოსტიდან უწყებას მათ სახელზე ჯგუფურისა, ან ოც გირვანქაზე მეტის წონის ამანათების მიღების შესახებ, კეთილ-ინებებენ და მიმართავენ საქმე დღეებში დილის ცხრა საათიდან ნაშუადღევის პირველ საათამდე და უქმე დღეებში დილის ცხრა საათიდან 10 საათამდე რკინის გზაზე ამანათების მიმცემ მოხელეს ზემოდასახელებულ ვაგონში.

იტალიელების ჩამოსვლის გამო საქართველოში.

ისტორიული გახსენება.

ევროპის სახელმწიფოებთაგან, ყველაზე წინეთ საქართველო იტალიელებმა გაიცნეს. საქართველოს დაახლოვება იტალიასთან XII საუკინის დამდეგიდან, ანუ დავით აღმაშენებლის დროიდან იწყება. შემდეგ, ანუ მე-XIII საუკუნიდან საქმე ისე ეწყობა, რომ საქართველოს და იტალიის მეფეების და რომის პაპებს შორის მიწერ-მოწერაც იმართება და მერე ეს კავშირი დ ურთიერთობის პატივისცემა დიდს ხანს გრძელდება.

იტალიაში საქართველოდან წერილი პირველად გაგზავნა რუსუდან დედოფალმა, ეს წერილი მიუვიდა პაპს ჰონორიმე III-ეს. პაპმა ეს წერილი იტალიის კოროლსაც აცნობა, ამას შემდეგ ქართველთა და იტალიელთა შორის გაიბა ძმური კავშირის შესახებ მიწერ-მოწერა და ერთმანეთის პატივისცემა და სიყვარული.

სწორედ ეს სიყვარული გახდა ქართველების იმის მიზეზად, რომ ქართველებს თუმცა მონგოლებისაგან კარს გაჭირვება ადგათ, ამით მაინც პაპის და კოროლის დავალებით, ჯვაროსანი ომში მონაწილეობა მიიღეს და ამ ომში ქართველმა მხედრობამ თავიც დიდად ისახელა იტალიელების ჯარების წინაშე, რაც დიდად საქები და თან საკვირველიც გახდა იტალიელთათვის.

ამის შემდეგ იტალიელებმა საქართველოში ხშირად იწყეს მგზავრობა, ესენი ხშირად გზავნიდნენ თავის მისიონერებს, ნასწავლ კაცებს, სხვებსაც ბევრს ასეთებს, ყველა ესეთი პირნი საქართველოში მოდიოდნენ ქართველების დასახმარებლად, მისიონერები ყველა ორდენებისა, ამათ გარდა ნასწავლ კაცებსაც ხშირად გზავნიდნენ, ექიმებს და სხვა ასეთ პირებს, იტალიელები ყველა ასეთ კაცებს საქართველოში გზავნიდნენ პირდაპირ ქართველების დასახმარებლად, ასეც იყო და ყველა ეს პირნი საქართველოში ქართველებს უჩენდნენ დიდს დახმარებას, ხელმძღვანელობას და ბევრსაც სხვა ასეთებს, ეს ლაპარაკი რომ ტყუილი არავის ეგონოს ეხლა აქ ჩვენ მოვსთვლით ყველა იმ კეთილ საქმეთა ცნობებს, რაც კი იტალიელთა თაოსნობით გაკეთებულა, როგორც საქართველოში, ისევე თვით იტალიაში: იტალიის მისიონერებმა ქართველებში გაავრცელეს კათოლიკის სარწმუნოება, ქართველთ კათოლიკეთ რიცხვი საქართველოში მათ იმოდენ ზომამდე აიყვანეს, რომ ბოლოს, ანუ 1329 წ. გონიერის გიორგი ბრწყინვალეს მეფობაში, ქალაქ ტფილისში დაადგინეს კათოლიკის საეპისკოპოსო კათედრა და მასზე ქართველ ერის ეპისკოპოსათ დანიშნეს იოანე ფლორენციელი. ეს კათედრა ტფილისში არსებობდა XVI საუკუნ. დამდეგამდე და მასზე განაგებდენ სულ იტალიელი მღვდელ-მთავრე-

ში, ამათი ხარჯი ყოველთვის იფარებოდა იტალიელთა მთავრობისაგან.

იტალიის მისიონერებმა იმეცადინეს ჯ XIII საუკ. საქართველოში საკმარისად გაავრცელეს და მოჰფინეს ევროპიული მედიცინა.

მათვე დაიწყეს საქართველოს აღწერა და მთელი საქართველო აწერეს მრავალნაირად, რომელთა აღწერილის წიგნებით სავსეა იტალიის ყველა ქალაქების ძველი სამკითხველოები.

იტალიელები და მათი მისიონერები დიდს დახმარებას უწევდნენ ქართველებს სპარსეთში, ოსმალეთში, არაბისტანსა და ყველა ადგილებში, სადაც კი ქართველები ოსმალ-სპარსთაგან ტყვეთ იყვნენ წაყვანილები.

XIII საუკუნიდან დაწყებული XVI საუკუნის გასვლამდი, იტალიელებმა ბევრჯერ აღწერეს საქართველო, ბევრჯერ მიაპყრეს ქართველებს დიდი ყურადღება, ამის შემდეგ მათ უფრო მხურვალეთ მოჰკიდეს საქართველოს მფარველობის საქმეს ხელი.

XVII საუკუნის დამდეგამდი იტალიელებმა ქართველებს ულრისად დაუწყეს მფარველობა. მაგალითებრ, 1630 წ. ტფილისში, კათოლიკეთ ეკლესიის გვერდით გახსნეს საერო სასწავლებელი, რომლის მიმდევართა აწინდელი შუა ბაზრის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის ქართული სკოლაა.

1635 წ. ტფილისში, კათოლიკის მისიონერებმა გახსნეს საერთო საექიმო სახლი, ანუ საავადმყოფო. მკურნალებად თვით მისიონერი ექიმნი იყვნენ.

1627 წ. რომში, პაპი ურბან VIII-ის დახმარებით, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი (არქიმანდრიტი) ხსნის ქართულ სტამბას და 1628 წ. პირველად გამოსცა ქართული წიგნი იტალიაში.

1633 წ. რომში, უმაღლეს სასულიერო სასწავლებელში დაარსებულ იქნა ქართულ ენის კათედრა და მასში განწესებულ იქნენ ქართული ენის მცოდნე იტალიელი პროფესორები.

1635 წ. პაპი ურბან მერვის ბრძანებით რომის უმაღლეს სასულიერო აკადემიებში და ნეაპოლის კომერციულ სკოლებში დაარსებულ იქნა ქართველი შვილების განსანათლავი სტიპენდიები, ამიტომ საქართველოში მოსწერს ქართველ კათოლიკეთ ეკლესიის წინამძღვარს, რომ ამას ეზრუნვა და საქართველოდან რომში გაეგზავნა ქართველი შვილები სასწავლებლათ.

ეს სტიპენდიები იქ არსებობდა 1635—1800. წ. 1730 წ. აქ სწავლა დაამთავრა გორელმა ქართველ კათოლიკე დავით ტელუკაშვილმა, ამან თავის სწავლის დამთავრების დროს დასწერა დისერტაცია ფილოსოფიისა, რითაც დაიცვა ცოდნა პროფესორთა წინაშე, იგი ცნობილ იქნა მსწავლულ ქართველათ.

1732 წ. დავით ტელუკაშვილმა რომში განაახლა ქართული სტამბა და იქვე გამოსცა ქართული წიგნები.

1734 წ. გამოსცეს ქართულ-იტალიურ ენის სახელმძღვანელო იტალიელ მისიონერთათვის.

1736 წ. რომში დაბეჭდეს ქარული რუკა, რითაც სარგებლობდენ რომაელთ მისიონერები საქართველოში მოგზაურობის დროს.

სხვა ამისთანა ცნობებს აქ აღარ მოვიყვანთ, ვგონებთ ესეც კმარა მის გასაცნობათ ვიცოდეთ თუ ქართველთა და იტალიელთ შორის რა კეთილი და მეგობრული განწყობილება არსებობდა ძველადგანვე.

დასასრულ ერთ ამბავსაც კიდევ მოვიყვან აქ:

1880 წ. ტფილისში ჩამოვიდა იტალიიდან კოროლის შვილი, ამან რამდენსამე ხანს ტფილისში იცხოვრა. ერთხელ იგი მოწვეული იქნა ტფილისის კათოლიკეთ ეკლესიაში წირვაზე, წირვაზე მწირველი იყო ცნობილი ქართველი მოძღვარი ალფონს ხითარაშვილი, ეკლესია მორთეს შესანიშნავის მორთულობით, წირვა ქართულათ იქნა შესრულებული, მთელი წირვა ქართულის გალობით გათავდა. წინამძღვარმა ალფონს ხითარაშვილმა წირვაზე სიტყვა წარმოსთქვა იტალიურს ენაზე და უცხო სტუმარს გააცნო თავიანთი ვინაობა, მოახსენა: „ჩვენ, ნაციით ქართველები ვართ, ეს ქვეყანაც საქართველოა, იგი რუსეთს დაუკავშირდა 1801 წ. ეს წირვა-ლოცვა და გალობა ჩვენს დედა ენაზე იქნა შესრულებული. კათოლიკეობის გავრცელება საქართველოში იწყება ძველის დროიდან" და სხვა.

კოროლის შვილმა მოისმინა წირვა, გალობა, ეს ქადაგებანი და წინამძღვარს მადლობა უთხრა იმის შესახებ, რომ მე ეხლა გავიცანი საქართველო და ქართული ენა და გალობაც კარგი ხმოვანი ყოფილაო. ალფონს ხითარაშვილი ასეთის მოქმედებისათვის რუსის მთავრობამ დასაჯა და ტფილისიდან ოდესაში გადაიყვანეს. ამის უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ მქადაგებელს, ეთქვა სიტყვა ეკლესიაში. საკურთხეველში, შევიდა წირვაზე თანადამსწრე, რუსის გუბერნატორი და ხითარაშვილს შენიშვნა მისცა ასე:

„შენ უფლება არა გქონდა, რომ კოროლის შვილს, ეკლესიის ტრაპეზიდან საქართველოს შესახებ ელაპარაკეთო".

მქადაგებელმა მღვდელმა მიუგო:

მე ვარ წინამძღვარი ამ ეკლესიისა, მერჯულე კოროლმა ისურვა ჩვენს ეკლესიაში მობრძანება, ჩვენი და ჩვენი ეკლესიის გაცნობა და ამიტომ მე ვალდებული ვიყავი, რომ მათთვის გამეცნო, თუ ჩვენ რა ტომის ერნი ვართ, სადაურნი, ან ამ ჩვენს ქვეყანას რა ეწოდება, ჩვენ ვინ ვართ და როდის დაუკავშირდით კათოლიკის სარწმუნოებას.

მაშ როგორ იქნებოდა, რომ ასე არ მექნა, ჩვენ მიწიდან ხომ არ ვართ ამოვარდნილნი, ან ციდან ჩამოვარდნილნი, რაც ვართ, მე ის მოვახსენე, მეტი არაფერი".

მღვდელმა ალფონს ხითარაშვილმა ასე დაიცა თავის თავი, მაგრამ რუსის მთავრობამ იგი ვერ აიტანა და ეს საყვარელი მქადაგებელი თავის მრევლისა საქართველოდან რუსეთში გადასტყორცნა ბრძანებით.

ზ. ჭ.

ნიხრი.

ტფილისის ქალაქის გამგეობამ ამა წლის 8 ივლისს დაამტკიცა შემდეგი ნიხრი პირველ საჭიროების საგნებზე: ძროხის ხორცი 9 მან. გირ. ფუთობით 330 მან., კამეჩის ხორცი 7 მან. გირ. ფუთობით 250 მან. ცხვრის ხორცი 12 მან. გირ. ფუთობით 450 მ., თევზი: ორაგული 12 მან. გირ., ზუთხი 10 მან. გირ., სევრიუგა 9 მან. გირ., საზანი 4 მან. გირ., რძე მოუხდელი კრუჟკა 2 მან. 50 კ., რძე მოხდილი კრუჟკა 1 მან. 50 კ., ყველი ადგილობრივი 15 მან. გირ., იმერული 12 მან. გირ., შვეიცარული 25 მან. გირ., ხელოვნური 8 მან. გირ., კვერცხი ცალობით 1 მან. 70 კ., ლობიო წითელი 2 მან. 80 კ. გირ. ლობიო გურული 3 მან. გირ. მარილი დაფქვილი 60 კ. გირ., მარილი კენჭი 45 კ. გირ., ნაშხირი 20 მანეთი ფუთი.

უცხოეთში

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

მოსკოვი. ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი ივლისის 8. იტალიაში არეულობა და გაფიცვები ძლიერდება. იტალიის ზოგიერთ ადგილებში საბჭოები დაარსდა. ფლორენცია პროლეტარების ხელშია, ჯარმა, რომელიც აჯანყებულების დასამშვიდებლად გაგზავნა, მცხოვრებლების წინააღმდეგ მოქმედებაზე უარი განაცხადა. იტალიის მუშების კონფერენციამ, რომელსაც 400,000 მუშა დაესწრო, მიიღო რეზოლიუცია უნგრეთის საბჭოთა რუსეთის რესპუბლიკის მუშებთან სოლიდარობის შესახებ. ბერლინში გაფიცვები გრძელდება. მიმოსვლა ცენტრსა და განაპირა უბნებს შორის შეწყვეტილია. ტამერფორსში გაფიცვები გრძელდება.

პეკინში ბრბო ქუჩებში გამოვიდა. ტიანცინში და შანაიში ყველა სავაჭროები დაიკეტა. ჩინეთში ტელეგრაფის მოსამსახურეები გაიფიცნენ.

გაზეთი „რესპუბლიკა"-ს მოჰყავს ცნობები ევროპაში, აზიაში და ოკეანეს იქით გაფიცვების გაძლიერების შესახებ. პადეკალეს დეპარტამენტში და ჩრდილოეთით მადაროს მუშების გაფიცვა განახლდა. პარიზში რკინის გზებზე გაფიცვა გრძელდება. გაფიცულებს მიემხრნენ ავტობუსების და ტრამვაის მუშები. პოლიცია პასიურად მოქმედობს. შრომის გენერალური კონფერენცია მადაროს მუშების, გემების, რკინის გზების, ნავთსადგურების, ტრანსპორტის მუშების და სხვათა გაერთიანებული პროფესიონალური კავშირი აცხადებს, რომ გაფიცულები ისე, როგორც მთელი პროლეტარიატი, თავის მოთხოვნილებას არავითარ შემთხვევაში არ დასთმობს და მთავრობის მოთხოვნილებას არ უნდა დაუმორჩილდეს. კავშირი მზად არის ყოველი ღონით მხარი დაუჭიროს ცალცალკე პროფესიონალურ კავშირების გაერთიანებას გადამწყვეტ ბრძოლაში. საფრანგეთში ცხოვრების გაძვირების, გადასახადების გადიდების, ხალხთა თვითგამორკვევის უფლების დარღვევის, რუსეთის და უნგრეთის რევოლიუციის დახრჩობის ცდას, დემობილიზაციის დაგვიანების და საერთო ამნისტიის გამოცხადებაზე უარის გამო შეიქნა ისეთი მდგომარეობა საიდანაც გასავალი შეიძლება გამოინახოს მხოლოდ გადამწყვეტი მოქმედებით. საფრანგეთის, ინგლისის, იტალიის და ბელგიის პროფესიონალურ ორგანიზაციების შრომის გენერალურ კონფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა, მომენტის სიძლიერის გამო თავისი სხდომები შეუწყვეტლად გამოაცხადა. ნეაპოლში გაფიცვები იზრდება. გაფიცვები შრომის სხვა დარგებსაც მოედო. რომში გაიფიცნენ აგრეთვე ქალაქის ტრამვაის მოსამსახურენი.

ლიონი. ივლისის 7. საფრანგეთის მთავრობას ძალიან ეშინიან, რომ ფიუმეში საფრანგეთის და იტალიის ჯარის შორის შეჯახება არ გაძლიერდეს.

განცხადებანი

მნაცაკან ისტატის ძე სარქისიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების ბარათი, 65 სტ. ძალით ლიტერი A თანახმად სამხედრო ჰოსპიტალის შემოწმებისა, 28 ოქტ. 1918 წ. № 64. ბარათი გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 909 3-2

გარეგინ ეგიას ძე სტეფანოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა, მიღებული საქართველოში სომხების ეროვნულ საბჭოს ლტოლვილთა განყოფილებიდან 1919 წ. მარტის 12-ს. № 432, მისი ოჯახის შემადგენლობის შესახებ.

904 3—2

ნიკოლოზ ვლადიმერის ძე გძელიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა მიღებული ტფილისის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტიდან № 64, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 905 3—2

საქართველოს რკინის გზის მართველობა იწვევს 1919 წლის ივლისის 18-ს ნაშუადღევის 12 საათისთვის, იმ პირთ, რომელთაც სრულ ერთი წლის ვადით აიღონ იჯარით ბუფეტები და სავაჭრო კარავები შემდეგ სადგურებზე: ხაშური—ბუფეტი ცხელი საჭმელებით და სავაჭრო კარავი, ბორჯომი—ბუფეტი ცხელი საჭმელებით. განცხადების შემოტანა შეიძლება პირადათ და აგრეთვე ფოსტითაც. განცხადება უნდა იყოს დახურული. განცხადებასთან ერთად უნდა შემოტანილ იქნეს კვიტანცია საწინდარის სად. ხაშურის—1000 მან. სად. ბორჯომის კი 500 მან. საწინდარი შეიძლება შემოტანილ იქნეს სამართველოს მთავარ კასაში, ან ერთ-ერთ სადგურის კასაში და იმ შემთხვევაში თუ წინადადება არ იქნება მიღებული უკანვე იქნება დაბრუნებული. დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება მოძრაობის განყოფილებაში, ელისაბედის ქუჩა № 200, 9-დან ნაშუადღევის 1 საათამდე. გზათა სამართველო უფლებას იტოვებს გასცეს ბუფეტები და კარავები იმაზე ვინც უფრო მაღალ ფასს შეაძლევს.

1186 3—3

რწმუნებულების ქაღალდს, ჩემს მიერ მიცემულს მალაქია იოსების ძე ჯაფარიძის და ივანე მიხეილის ძე ჰეჲნაძის სახელზე და გაცხადებულს ტფილისის ნოტარიუს ა. ი. მიტკევიჩთან 1912 წელში, პირველის სახელზე 16 ივნისს № 15408, მეორეს სახელზე 27 აგვისტოს № 20527, ამ განცხადებით ვაუქმებ. ნესტორ მაქსიმეს ძე აბაიშვილი. 908 3—2

კირილე ნიკოლოზის ძე ურუშაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ორი დუბლიკატი №№ 88843 და 88845, რომლის ძალით შეეძლო ლანჩხუთიდან ქუთაისში ორი ვაგონის შეშის ჩატანა. დუბლიკატი გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 910 3—2

აგასი სტეფანეს ძე ასლანიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სოფელ [illegible] ქარხნის სადამოჟნოდან მოცემული კვიტანცია № 50, იმაში, რომ მას უფლება ჰქონდა მოერეკა სომხეთიდან საქართველოში 56 სული მსხვილი საქონელი. კვიტანცია გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 907 3—2

ქ. ტფილისის მე-8 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს მოპასუხეთ მურა ახმედოღლის, რომლის ბინადრობა გამოურკვეველია, და რომელზედაც მარიამ კაციას ასულმა დავითაშვილმა შემოიტანა საჩივარი. ამ საჩივარში მარიამ კაციას ასული დავითაშვილი აცხადებს თავის უფლებას მიწის ნაჭერზე, ზომით 10 ოთხკ. საჟ. მურა ახმედ-ოღლი უნდა გამოცხადდეს ტფილისის მე-8 სამომრიგებლო უბანში სას. დებ. 229—301 მუხ. ძალით, ექვსი თვის განმავლობაში ამ განცხადების დაბეჭვდის დღიდან, ამ დროისთვის ის ან პირადათ უნდა გამოცხადდეს ან უნდა გამოგზავნოს თავის რწმუნებული, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გადასწყდება იმის დაუსწრებლათ 869. 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, 1919 წლის მაისის 22-ს დამტკიცებულია 1919 წლის მაისის 7-ს სოხუმის ნოტარიუს ზაგრაისკის მიერ შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც სპირიდონ და გიორგი ილიას ძე ქსანდოპულომ 100.000 მან. მიჰყიდა დიმიტრი ივანეს ძე სარიანიდს მიწის ნაჭერი, ქალაქ სოხუმში მიხეილის ქუჩაზე, უბ. ლიტ. „B" №№ 14 და 15, ზომით 214 ოთხკ. ს. გადახდილია სიმტკიცის 4000 მან. მთავარი ამონაწერი 500 მან. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია.

მე-2-რე სასურსათო დარაჯთა უფროსმა დიმიტრი ქიშვარდის ძე გოგიტიძემ 6 ივლის დავკარგე საფულე, რომელშიდაც იყო რევოლვერი „მაუზერის" ტარების ნება მოცემული ტფილისის ქალაქის მილიციის უფროსის მიერ და სხვა და სხვა საბუთები. მპოვნელს ვთხოვ ეს საბუთები დამიბრუნოს ჯილდოს მიღებით, დიდუბეში მე-2 სასურსათო მაღაზიის დარაჯთა უფროს, წინააღმდეგ შემთხვევაში ითვლებოდეს გაბათილებულად 917 3—1

ტფილისის ნავთის მწარმოებელთა

კომერციული საზოგადოება

(გამგეობა ტფილისში)

მე-14 1918 საოპერაციო წლის ანგარიშიდან ამოწერილობა.

მოგების და წაგების ანგარიში.

შემოსავალი:

შემოვიდა პროცენტი	817 მ.	83 კ.
1918 წ. ზარალი	5.925 „	82 „
	6.742 „	65 „

გასავალი:

გამგეობის, სარევიზიო კომისიის და მოსამსახურეთა შენახვა	4.980 „	—
სხვა და სხვა მუხლების თანახმად გასავალი	1.762 „	65 „
	6.742 „	65 „

1918 წ. 1 **იანვრისთვის ბალანსი.**

აქტივი;

კასა და მიმდინარე ანგარიში	12.737 „	69 „
% ქაღალდები	47.400 „	— „
დებიტორი	8.022 „	37 „
უძრავი ქონება	3.050 „	— „
მოძრავი ქონება	5.746 „	95 „
საარენდო უფლების ღირებულება	243.012 „	16 „
1918 წლის ზარალი	5.925 „	32 „
	325.894 „	49 „

პასივი: ძირითადი თანხა	250.000 „	— „
ქონების დასაფარავი თანხა	71.715 „	52 „
წინა წლების მოუთხოვნელი დივიდენტი	2.784 „	— „
კრედიტორები	1.147 „	50 „
1917 წ. მოგებიდან დარჩენილი	247 „	47 „
	325.894 „	49 „

1919 წ. 15 ივნისის ანგარიში დამტკიც ბულია აქციონერების ყოველი წლიური ს ერთო კრების მიერ.

გამგეობა: კილიტჩევი, ასილოვი, ტერ-აგ ტისიანცი და აილინოვი, ბუხგალტერი—გ ლუმოვი. 914 1-1

სტამბა საქართველოს მთავრობისა

დროებითი რედაქტორი ვიქტორ ნოზაძე